N ხელშ-73
18/05/2023

73-1-4-202305181104

ხელშეკრულება

ერთის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარინა ონიანის, (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „დეიზი", წრმოდგენილი დირექტორის გიორგი სულუხიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში -ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია „აფხაზეთიდან დევნილ და ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამის" აფხაზეთიდან დევნილთა მრავალპროფილური სკრინინგული კვლევის ქვეპროგრამის ფარგლებში CPV79820000 - ბეჭდვასთან დაკავშირებული მომსახურებები. კერძოდ, ტრიპლეტის და სტიკერის ბეჭდვა:

N	დასახელება	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	ტრიპლეტი	1000	0.24	240
2	სტიკერი 7სმ	1000	0.172	172
ჯამი:				**412**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. **მომსახურება და საქონელი** ჯამური ღირებულება შეადგენს **412 (ოთხასთორმეტი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელების გათვალისწინებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადების (მოთხოვნის შემთხვევაში) საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან **10 სამუშაო** დღის განმავლობაში.

4 მიღება - ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის საკითხთა სამმართველოს უფროსი სპეციალისტი **თამარ ადეიშვილი.**

4.2. **მომსახურება და საქონელი** მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. **მომსახურება და საქონელი** მიწოდების ადგილია ქ.თბილისი,სანაპირო.კოსმონავტების #49

5.2 **მომსახურება და საქონლის** მიწოდება განხორციელდება **2023 წლის 25 მაისამდე ;.**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული **მომსახურება და საქონლის** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს **მომსახურება და საქონლის** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს **მომსახურება და საქონლის** მიწოდება ჯეროვნად, კეთისინდისიერად და სრული მოცულობით, ასევე პასუხისმგებელია **მომსახურება და საქონლის** ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემ,თხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.**

12. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი :

შპს „დეიზი“

ს/კ 249471167

ბანკის კოდი: MIBGGE22

ს.ს ,,პროკრედიტ ბანკი"

ანგაარიშის.# GE03PC0113600100029790

ქ.თბილისი,სანაპირო.კოსმონავტების #49

Giorgi Skhulukhia

Digitally signed by Giorgi Skhulukhia
Date: 2023.05.19 12:04:00

დირექტორი

გიორგი სულუხია

შემსყიდველი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისადა სოციალური დაცვის სამინისტრო

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 16

საიდენტიფიკაციო კოდი: 249250466

საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი: KSBGGE22.

მარინა ონიანი

მინისტრის მოადგილე